შესყიდვის კონკრეტული შეტყობინება

მოწვევა პრეკვალიფიკაციაში მონაწილეობის მიღებისათვის

საქართველო

ხაშურის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის პროექტი

UWSCG-IPC-CW-Lot2-2: წყალარინების გამწმენდი ნაგებობის პროექტირება, მშენებლობა და ოპერირება, სათავეები, რეზერვუარები და მაგისტრალური მილები ხაშურში

2022 წლის მარტი

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ (წყალმომარაგების კომპანია) *საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა* (**AFD**) და ევროკავშირისაგან ***ხაშურის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის პროექტის*** დაფინანსებისათვის მიიღო სახსრები და გეგმავს ამ სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი პროექტის დაფინანსებისათვის: ***UWSCG-IPC-CW-Lot2-2: წყალარინების გამწმენდი ნაგებობის პროექტირება, მშენებლობა და ოპერირება, სათავეები, რეზერვუარები და მაგისტრალური მილები ხაშურში.***[1] დამკვეთი გეგმავს, რომ თავდაპირველად შეარჩიოს მაქსიმუმ ხუთი (5) ფირმა შემდეგი საპროექტო, სამშენებლო და საექსპლუატაციო სამუშაოებისათვის:

ზოგადი:

ყველა გეგმის, გრაფიკის, ანგარიშის, მათ შორის, შემდეგის მომზადება: დემონტაჟის გეგმა/გრაფიკი, საწყისი ეკოლოგიური კვლევისა და ჯეროვანი გადახედვის ანგარიშის განახლება, სამშენებლო მოედნის ნარჩენების მართვის გეგმა, სამშენებლო მოედნის მტვერის მართვის გეგმა, სამშენებლო მოედნის წყლის მართვის გეგმა (თუ საჭიროა), სამშენებლო მოედანზე ექსკავირებული მასალების მართვის გეგმა, სამშენებლო მოედანზე ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმა, სატრანსპორტო მოძრაობის მართვის გეგმა, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის გეგმა და თემის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გეგმა.

სამუშაოების მოცულობა:

- **ახალი წყალარინების გამწმენდი ნაგებობა:**
  - არსებული ძველი ნაგებობების დემონტაჟი;
  - ძველი სატუმბო სადგურის დემონტაჟი;
  - ახალი 30,000 – 40,000 მოსახლეობის ექვივალენტის გამწმენდი ნაგებობის (ბიოლოგიური გაწმენდა) პროექტირება, მშენებლობა და ოპერირება;
  - ლერწმის ლაგუნის პროექტირება, მშენებლობა და ოპერირება;

[1] კონტრაქტს **AFD და ევროკავშირი** ერთად აფინანსებს.

- ადგილობრივი SCADA-ს პროექტირება და მოწყობა;
- ელექტროენერგიის ქსელზე დაერთება;
- ბაიპასის პროექტირება და მშენებლობა.

- **სათავეები**

- ცხრამუხის სათავის, მათ შორის, ჭაბურღილების პროექტირება და მშენებლობა;
- ხცისის სათავის, მათ შორის, ჭაბურღილის პროექტირება და მშენებლობა;
- რეზერვუარები (დემონტაჟი, მშენებლობა, რეაბილიტაცია და/ან მშენებლობა);
- მაგისტრალების პროექტირება და მშენებლობა;
- ადგილობრივი SCADA-ს პროექტირება და მშენებლობა.

- **სხვა**

- შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ახალი ადმინისტრაციული შენობის პროექტირება და მშენებლობა;
- ხაშურის ცენტრალური SCADA-ს პროექტირება და მონტაჟი გორსა და თბილისში კავშირით;
- დამკვეთის პერსონალის ტრენინგი;
- წყალარინების გამწმენდი ნაგებობის ოპერირება და წარმოების საშუალებების ოპერირება (როგორც არჩევითი).

<u>**განხორციელების პერიოდი**</u>

კონტრაქტის განხორციელების პერიოდი იქნება 60 თვე, მათ შორის, შემდეგი ფაზები:

- პროექტირების, ნებართვების ფაზები - ხანგრძლივობა 12 თვე;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციაში ჩაშვების ფაზა - ხანგრძლივობა 24 თვე;
- წყალარინების გამწმენდი ნაგებობების ოპერირებისა და ექსპლუატაციის ფაზა და შესაძლო წყლის წარმოების საშუალებების ოპერირება და ექსპლუატაცია: ხანგრძლივობა 12 თვე (ხანგრძლივობა შეიძლება ჩასწორდეს სატენდერო დოკუმენტებში 36 თვემდე);
- წყალარინების გამწმენდი ნაგებობების დეფექტის ცნობის პერიოდი - ოპერირებისა და ექსპლუატაციის პერიოდის გასვლიდან 12 თვე;
- დეფექტების ცნობის პერიოდი - 24 თვე (გარდა წყალარინების გამწმენდი ნაგებობისა).

სატენდერო წინადადებების შემოტანის მოწვევა სავარაუდოდ გაიგზავნება **2022 წლის ივნისში.**

დაინტერესებულ უფლებამოსილ აპლიკანტებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისგან“ პირველადი შერჩევის დოკუმენტების სრული ნაკრების ინგლისურ ენაზე მოთხოვნით ელექტრონული ფოსტით: info.procurement@water.gov.ge. ***ადრესატი: გუგა კაკაბაძე, დირექტორის მოადგილე.***

დოკუმენტები გაიგზავნება იმ ელ. ფოსტაზე, რომელიც აპლიკანტმა წარმოადგინა.

პირველადი შერჩევისთვის განაცხადები წარდგენილი უნდა იქნეს მკაფიოდ მონიშნულ კონვერტებში და მიწოდებულ იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე 2022 წლის 18 აპრილის 15:00 საათამდე (თბილისის დროით). დაგვიანებული განაცხადები შეიძლება უარყოფილი იყოს.

ოფისი: *შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“*

ადრესატი: *გუგა კაკაბაძე, დირექტორის მოადგილე; ეთერ ფირანიშვილი, საერთაშორისო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი*

მისამართი: *ანა პოლიტკოვსკაიას 5/7, წყალმომარაგების კომპანიის სათავო ოფისი, 0186, თბილისი, საქართველო*

ტელეფონი: *+995 032 2 91 90 60*

ელ. ფოსტა: : *info.procurement@water.gov.ge e.piranishvili@water.gov.ge;*

ვებ. გვერდის მისამართი: *http://water.gov.ge/*